სექსუალობის როლი ძალაუფლების აგებაში მიხეილ ჯავახიშვილის, საფო მგელაძის, დევიდ ლოურენსისა და სიმონ დე ბოვუარის შემოქმედებაში

ნინო ნადაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე პატარიძე, ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშავარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადრო წესის შესაბამისად.

ნინო ნადაშვილი 20.06.2024

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს მეგობრებს, კოლეგებსა და ოჯახის წევრებს რომელთა მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე ვერ დავასრულებდი ნაშრომს.

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, სალომე პატარიძეს უდიდესი მოტივაციისთვის, გვერდში დგომისთვის, ყურადღებისა და გამხნევებისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის საკითხია სხვადასხვა კულტურის, გენდერისა და გეოგრაფიული სივრცის ავტორების: მიხეილ ჯავახიშვილის, სიმონ დე ბოვუარის, დევიდ ლოურენსისა და საფო მგელაძის ნაწარმოებებში - *ჯაყოს ხიზნები, სასოწარკვეთილი ქალი, ლედი ჩატერლეის საყვარელი, ლიანა ლორდია* სექსუალობისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართებების ნიშნების გამოვლინება.

ნაშრომის მიზანია დადგინდეს, თუ როგორ აისახება სექსუალობა სხვადასხვა გეოგრაფიული და კულტურული სივრცის ავტორებთან, განისაზღვროს სექსუალობის როლი ძალაუფლების სუბორდინაციაში, სექსუალობის რეპრეზენტაციის ფორმები და თავისებურებები.

თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია გენდერული და ფემინისტური მეთოდოლოგიურ-თეორიული კონცეპტები: მიშელ ფუკოს ნაშრომი სექსუალობის ისტორიისა და ძალაუფლებრივი დისკურსის შესახებ, ჯუდით ბატლერის ნაშრომი გენდერის პერფორმაციულობაზე, ჟაკ ლაკანის თეორია კასტრაციისა და ოიდიპოსის სტრუქტურის ანალიზის შესახებ, ქეით მილეტის სექსუალობის პოლიტიკა, ტორილ მოის მოსაზრებები სექსუალობის შესახებ და ტიპოლოგიური შედარების მეთოდი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გეოგრაფიული, კულტურული და გენდერული სხვაობების მიუხედავად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ავტორთა ნაწარმოებში, მთავარ გმირთა სექსუალობისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე განისაზღვრებოდა მათი ძალაუფლებრივი იერარქია. შედარებითი ანალიზის საფუძველზე კი გაირკვა, თუ რა კავშირი იყო სექსუალობასა და ძალაუფლებას შორის და რის საფუძველზე ხდებოდა სხვადასხვა სექსუალური იდენტობების კონსტრუირება.

საკვანძო სიტყვები: *სექსუალობა, იდენტობა, ძალაუფლება, სხეული, დისკურსი*